ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 214

ქ. თბილისი

26 დეკემბერი 2016

ერთის მხრივ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი ქ. ამბროლაური, მისამართი თამარ მეფის ქ. N 1 საიდენტიფიკაციო კოდი: 222937464; ანგარიშის ნომერი: GE53LB0120111429276000; ბანკი: ლიბერთი ბანკი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მალხაზ ლომთაძის სახით.

და მეორეს მხრივ ი/მ „ნინო რეხვიაშვილი" მისამართი ქ. თბილისი ლესელიძის ქუჩა N27 (შემდგომში „მიმწოდებელი"), საიდენტიფიკაციო კოდი:34001001062; ანგარიშის ნომერი:GE43TB7691943063600027; ბანკი: სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ნინო რეხვიაშვილის სახით

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან საახალწლო მისალოცი ბარათების დამზადება.

1.2 შესყიდვა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ფასი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე) შეადგენს 173 (ასსამოცდაცამეტი ) ლარს.

3. ვადები

3.1 მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას შეასრულებს 2016 წლის 27 დეკემბრამდე

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას რომ, მომსახურების ხარისხი იქნება არსებული სტანდარტების შესაბამისი.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება - ჩაბარება მოხდება მხარეებს შორის მიღება - ჩაბარების შესახებ სათანადო აქტის გაფორმებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეული მომსახურების შესაბამისად წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების (ელექტრონული ფორმა) და მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 დღეში.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

შემსყიდველი ვალდებულია:

-უზრუნველყოს ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე

ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

7.2 „მიმწოდებელს"უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

მიმწოდებელი ვალდებულია:

გადაიხადოს მოქმედი კანონმდებლობი გათვალისწინებული გადასახადები.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრუკლების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მიმწოდებელი ჯარიმის სახით გადაიხდის სახელშეკრულებო ღირებულების 0,1 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

8.3 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

8.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

გარანტის დაუბრუნებლობას , თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლისათვის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი "ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს , რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით ,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით , საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს. იგი თავისი შეხედულებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**10.** დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**11. ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა**

მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**12** . სხვა პირობები

12.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 25 იანვრამდე.

12.3 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად. 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ , რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

12.5 ხელშეკრულების კონტროლს და შესყიდვის ობიექტის მიღებას განახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.

**13. მხარეთა ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი | ინდივიდუალური მეწარმე |
| მალხაზ ლომთაძე | ნინო რეხვიაშვილი |